მოსკოვი. 13 ოქტომბერი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვის “სპარტაკისა” და თბილისის “დინამოს” მატჩი პირველობაზე დაიწყო სპარტაკელთა ენერგიული შეტევებით. მალე ერთ–ერთი ასეთი შეტევა დამთავრდა მოზერის მიერ გატანილი გოლით – 1:0. მოსკოველები განაგრძობდნენ იერიშებს და მათი თავდამსხმელები ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს სტუმრების კართან. ცოტა ხანში თბილისელებს კვლავ ცენტრიდან მოუწია თამაშის დაწყება – ბურთი გაიტანა სიმონიანმა – 2:0, ხოლო ილინმა ანგარიში სამამდე გაზარდა.

ტაიმის ბოლო წუთებზე თბილისელებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და ქვლივიძემ გაქვითა ერთი გოლი – 1:3.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა მნიშვნელოვნად გამოასწორეს თამაში. უკვე პირველ წუთზე ღოღობერიძემ ზუსტად გაგზავნა ბურთი “სპარტაკის” კარში – 2:3. ამის შემდეგ თბილისელებს ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, რომლებიც თავდამსხმელთა მიერ ვერ იქნა გამოყენებული. სამაგიეროდ, სიმონიანმა და ილინმა კიდევ თითოჯერ წარმატებით დაამთავრეს თავიანთი გუნდის იერიშები და მოსკოვის “სპარტაკმა” მოიგო ანგარიშით 5:2.

დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვა აგრეთვე “სპარტაკმა” – 2:1.

“ლელო”, 15 ოქტომბერი, 1957 წ.